

მისაღმება კათოლიკოს-პატრიარქისა და წმინდა
სინოდისადმი

მცხეთა - სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი
8 ნოემბერი, 1999

"კურთხეულ იყოს ღმერთი და მამა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელმაც გვაკურთხა ქრისტეში ყოველგვარი სულიერი კურთხევით" (ეფესელთა 1:3).

თქვენო უწმიდესობაე და უნეტარესობაე,

1. ეს წამი ჩემთვის ჭეშმარიტად წყალობაა ყოველისშემძლე ღმერთისა, რომელიც არის წყარო ჩვენი სასოებისა და იმედისა. შწორედ უფალმა მიწყალობა ეს შესაძლებლობა, რათა შევხვედროდი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქსა და სინოდის წევრებს აქ, სვეტიცხოვლის საპატრიარქო საკათედრო ტაძარში. ეს ისტორიული ნაგებობა სიმბოლურად განასახიერებს ქართულ ეკლესიას. საუკუნეთა მანძილზე, ჭირშიც და ღხინშიც, სწორედ ეს ტაძარი გახლდათ წყარო ერის სულიერი ძალებისა.

ნიეთიერი შენობის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ იგი გვამცნობს იმ უზენაეს სინამდვილეს, რაიც გახლავთ "შენობა ღვთისა" (1კორინთელთა 3:9) "ნაგები ცოცხალი ქვებით" (შდრ. 1პეტრე, 2:5). აქ აღვასრულებთ ღვთისმსახურებას, როგორც გამოხატულებას იმ სულიერი კავშირისა, რომლითაც მიწიერი ეკლესია ზეციურს ერთვის წმინდანთა დასის მეშვეობით. ამ საკათედრო ტაძრის ქვანი და წმიდა ხატები გვიმბობენ საქართველოს წმინდანთა და წამებულთა შესახებ, რომლებიც წმიდა მარიამ ღვთისმშობელთან და სხვა წმინდანებთან ერთად, სამოთხეში იმყოფებიან!

მართლაც, ეკლესიის ურყევი რწმენის თანახმად, სწორედ სულიერი საჩუქრის გაცვლა-გამოცვლით ხდება კავშირის განახლება ჯერ კიდევ მიწიერ ყარბობაში მყოფთა და ქრისტეში მიძინებულთა შორის. სწორედ წმინდანთა ძმური მეოხებით ვაოულობთ შევებას საკუთარი სისუსტის უამს (შდრ. ლუმენ გენტიუმ, 49).

თქვენო უწმიდესობაე,

2. მაგონდება სიტყვები ებრაელთა მიმართ წერილიდან: რადგანაც გარს მოწმეთა ღრუბელი გვაკრავს, დაე ჩვენც ჩამოვიცილოთ ყოველი ტვირთი, დავეხსნათ ცოდვას და მოთმინებით გავიბრინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი" (ებრ., 12:1). რაღა თქმა უნდა, მესამე ათასწლეულის გარიჟრაჟზე, ეკლესიის წინაშე არსებული ეს სარბიელი იმაში მდგომარეობს, რომ წარსულის მქადაგებლებზე არანაკლები მგზებარებითოუქადაგოთ იესო ქრისტე, მაცხოვარი, ჩვენი თაობის ადამიანებს. მაღლობა ვუძღვნათ ღმერთს, რომ საქართველოს ეკლესია, მტკიცე რწმენითა და უფლის მცნებათა ერთგულებით, საუკუნეთა მანძილზე ქადაგებდა სახარებას.

უფალი განაგებს ადამიანთა ისტორიას, გვიხსნის და გვასწავლის მას. დღეს ქრისტიანთა წინაშე ახალი თვალსაწიერი გადაშლილა, სულიწმიდა მოგვიწოდებს ყური მიუვღოთ ქრისტეს მოწოდებას: "რათა ყველა ერთი იყოს... რათა ირწმუნოს წუთისოფელმა, რომ მამამ მომავლინა" (შდრ. იოანე, 17:21). ამგვარი მომავალი კი მარტოოდენ ჩვენი ძალისხმევით ვერ მიიღწევა, არამედ იქნება ღვთით ნაბოძები წყალობა.

3. ამიტომაც, ჩვენი ეკლესიების მომავალს ვავედრებ მარადქალწულ მარიამს, მის მეუღლეს წმ.იოსებს, წმიდა ანდრიასა და ყველა წმ. მოციქულს, ყველა წამებულსა და წმინდანს.

დაე, ჩვენს მიერ დანთებული ეს ხანთლები იქცეს სიმბოლოდ და საწინდრად ჩვენი ძალისხმევისა, რათა ქრისტეს ნათელი მოეფინოს სავალ ბილიკებს, გაფანტოს წყვდიადი და გვიჩვენოს გზა ნათელი მომავლისაკენ.

დაე, წმიდა ღვთისმშობელმა, საქართველოს მფარველმა, რომელმაც სულიწმიდის მეოხებით ქვეყნიერებას მოუვლინა შემოქმედი სიცოცხლისა, თავისი კალთა გადააფაროს საქართველოს ეკლესიას. დაე, დედა უფლისა გაუძღვეს თქვენს უწმიდესობასა და მის მოძმე მღვდელმთავრებს სამწყსო საქმიანობაში, რათა თქვენს მრევლს კიდევ უფრო განუმტკიცდეს რწმენა უფლისა, რომელიც მოგვიწოდებს ვიყოთ ისეთივე წმინდა, როგორც თვითონაა. (შდრ. ლევ. 19:2; მათე 5:48).

მამას ყოველი სასოებისა ვავედრებ თქვენს მშვენიერ ქვეყანას. დაე, საკუთარი ქრისტიანული მემკვიდრეობისკენ კვლავ მობრუნებულ საქართველოში დაისადგუროს თანხმობამ და კეთილდღეობამ, ქართველი ხალხის საბედნიეროდ და მთელს რეგიონში სტაბილურობის, თანამშრომლობისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად.